

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1

2023 წლის 6 თებერვალი

ქ. სამტრედია

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის №80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 70-ე მუხლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა, "სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი 22/12/2022 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.120.016440), როგორც შემოსავლების ნაწილში, ასევე ხარჯების ნაწილში, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ცვლილებების შეტანის საკითხი და ადგენს:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

თავი I

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	22,529.3	7,340.3	15,189.0	32,937.0	12,083.4	20,853.6	29,376.8	6,911.4	22,465.4
გადასახადები	12,965.7	0.0	12,965.7	17,480.6	0.0	17,480.6	20,304.8	0.0	20,304.8
გრანტები	7,320.3	7,340.3	-20.0	12,514.7	12,083.4	431.3	6,980.3	6,911.4	68.9
სხვა შემოსავლები	2,243.3	0.0	2,243.3	2,941.7	0.0	2,941.7	2,091.7	0.0	2,091.7



ხარჯები	12,465.4	563.7	11,901.7	18,086.5	1,450.9	16,635.6	22,176.2	2,854.6	19,321.6
შრომის ანაზღაურება	2,131.7	87.6	2,044.1	2,959.8	112.9	2,846.9	3,953.6	160.7	3,792.9
საქონელი და მომსახურება	1,735.8	335.9	1,399.9	2,742.5	588.0	2,154.5	3,208.8	897.3	2,311.5
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	41.6	0.0	41.6	34.8	0.0	34.8	31.7	0.0	31.7
სუბსიდიები	6,909.3	87.1	6,822.2	8,736.9	94.5	8,642.4	10,569.9	117.0	10,452.9
გრანტები	14.0	0.0	14.0	541.9	0.0	541.9	75.7	0.0	75.7
სოციალური უზრუნველყოფა	1,333.4	0.5	1,332.9	1,722.7	0.8	1,721.9	1,563.1	7.4	1,555.7
სხვა ხარჯები	299.6	52.6	247.0	1,347.9	654.7	693.2	2,773.4	1,672.2	1,101.2
საოპერაციო სალდო	10,063.9	6,776.6	3,287.3	14,850.5	10,632.5	4,218.0	7,200.6	4,056.8	3,143.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,447.8	6,073.3	3,374.5	12,700.6	9,988.3	2,712.3	12,928.3	6,139.9	6,788.4
ზრდა	9,830.8	6,073.3	3,757.5	13,939.1	9,988.3	3,950.8	13,047.3	6,139.9	6,907.4
კლება	383.0	0.0	383.0	1,238.5	0.0	1,238.5	119.0	0.0	119.0
მთლიანი სალდო	616.1	703.3	-87.2	2,149.9	644.2	1,505.7	-5,727.7	-2,083.1	-3,644.6
ფინანსური აქტივების ცვლილება	546.0	703.3	-157.3	2,079.8	644.2	1,435.6	-5,797.8	-2,083.1	-3,714.7
ზრდა	703.3	703.3	0.0	2,079.8	644.2	1,435.6	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	703.3	703.3		2,079.8	644.2	1,435.6	0.0		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	157.3	0.0	157.3	0.0	0.0	0.0	5,797.8	2,083.1	3,714.7
ვალუტა და დეპოზიტები	157.3		157.3	0.0			5,797.8	2,083.1	3,714.7
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-70.1	0.0	-70.1	-70.1	0.0	-70.1	-70.1	0.0	-70.1
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	22,912.3	7,340.3	15,572.0	34,175.5	12,083.4	22,092.1	29,495.8	6,911.4	22,584.4
შემოსავლები	22,529.3	7,340.3	15,189.0	32,937.0	12,083.4	20,853.6	29,376.8	6,911.4	22,465.4
არაფინანსური აქტივების კლება	383.0	0.0	383.0	1,238.5	0.0	1,238.5	119.0	0.0	119.0
გადასახდელები	22,366.3	6,637.0	15,729.3	32,095.7	11,439.2	20,656.5	35,293.6	8,994.5	26,299.1



ხარჯები	12,465.4	563.7	11,901.7	18,086.5	1,450.9	16,635.6	22,176.2	2,854.6	19,321.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	9,830.8	6,073.3	3,757.5	13,939.1	9,988.3	3,950.8	13,047.3	6,139.9	6,907.4
ვალდებულებების კლება	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1
ნაშთის ცვლილება	546.0	703.3	-157.3	2079.8	644.2	1435.6	-5797.8	-2083.1	-3714.7

მუხლი 3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლები **29,376.8** ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	22,529.3	7,340.3	15,189.0	32,937.0	12,083.4	20,853.6	29,376.8	6,911.4	22,465.4
გადასახადები	12,965.7	0.0	12,965.7	17,480.6	0.0	17,480.6	20,304.8	0.0	20,304.8
გრანტები	7,320.3	7,340.3	-20.0	12,514.7	12,083.4	431.3	6,980.3	6,911.4	68.9
სხვა შემოსავლები	2,243.3	0.0	2,243.3	2,941.7	0.0	2,941.7	2,091.7	0.0	2,091.7

მუხლი 4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახადები **20,304.8** ათ. ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	12,965.7	0.0	12,965.7	17,480.6	0.0	17,480.6	20,304.8	0.0	20,304.8



დღგ	11411	10,533.6		10,533.6	14,302.1		14,302.1	17,254.8		17,254.8
ქონების გადასახადი	113	2,432.1	0.0	2,432.1	3,178.5	0.0	3,178.5	3,050.0	0.0	3,050.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	1,217.1		1,217.1	2,004.6		2,004.6	1,970.0		1,970.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	0.0			-91.0		-91.0	0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	22.1	0.0	22.1	29.1	0.0	29.1	10.0	0.0	10.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0.0		0.0	1.3		1.3	0.0		0.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	22.1		22.1	27.8		27.8	10.0		10.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	209.1	0.0	209.1	221.7	0.0	221.7	140.0	0.0	140.0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	176.8		176.8	173.9		173.9	105.0		105.0
იურიდიულ პირებიდან	1131142	32.3		32.3	47.8		47.8	35.0		35.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	983.8	0.0	983.8	1,014.1	0.0	1,014.1	930.0	0.0	930.0
ფიზიკურ პირებიდან	1131151	47.0		47.0	49.2		49.2	47.0		47.0
იურიდიულ პირებიდან	1131152	936.8		936.8	964.9		964.9	883.0		883.0

მუხლი 5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გრანტები **6,980.3** ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2021 წლის ფაქტი		2022 წლის ფაქტი		2023 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის		მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი	სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი	სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი
		ფონდები	შემოსავლები	ფონდები	შემოსავლები	ფონდები	შემოსავლები
		გამოყოფილი ტრანსფერები		გამოყოფილი ტრანსფერები		გამოყოფილი ტრანსფერები	



გრანტები	13	7,320.3	7,340.3	-20.0	12,514.7	12,083.4	431.3	6,980.3	6,911.4	68.9
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	131	0.0			81.3		81.3	68.9		68.9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	7,320.3	7,340.3	-20.0	12,433.4	12,083.4	350.0	6,911.4	6,911.4	0.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	445.3	445.3	0.0	629.2	629.2	0.0	442.2	442.2	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		190.0	190.0	0.0	182.7	182.7	0.0	375.0	375.0	0.0
საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება		255.3	255.3		446.5	446.5		67.2	67.2	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	6,875.0	6,895.0	-20.0	11,804.2	11,454.2	350.0	6,469.2	6,469.2	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები		5,365.2	5,365.2		5,749.3	5,749.3	0.0	5,809.2	5,809.2	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		660.0	660.0		660.0	660.0	0.0	660.0	660.0	0.0
კაპიტალური დანიშნულების გრანტები		753.0	773.0	-20.0		4,562.5	350.0			
საჯარო სკოლების უნფრასტრუქტურის გაუმჯობესება		96.8	96.8		482.4	482.4		0.0		

მუხლი 6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2,091.7 ათ. ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2021 წლის ფაქტი		2022 წლის ფაქტი		2023 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის		სულ	მათ შორის
		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუ	სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუ	სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუ



		სულ	ფონდე ბიდან	თარი შემო სავლე ბი	სულ	ფონდე ბიდან	თარი შემო სავლე ბი	ფონდე ბიდან	თარი შემო სავლე ბი	
			გამოყო ფილი ტრან სფერე ბი			გამოყო ფილი ტრან სფერე ბი		გამოყო ფილი ტრან სფერე ბი		
სხვა შემოსავლები	14	2,243.3	0.0	2,243.3	2,941.7	0.0	2,941.7	2,091.7	0.0	2,091.7
შემოსავლები საკუთრებიდან	141	513.8	0.0	513.8	960.0	0.0	960.0	485.0	0.0	485.0
პროცენტები	1411	386.0		386.0	676.8		676.8	315.0		315.0
რენტა	1415	127.8	0.0	127.8	283.2	0.0	283.2	170.0	0.0	170.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	80.9		80.9	161.3		161.3	90.0		90.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავენობა და სხვა) გადაცემიდან	14154	46.9		46.9	121.9		121.9	80.0		80.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	1,245.4	0.0	1,245.4	1,319.2	0.0	1,319.2	1,195.4	0.0	1,195.4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	1,192.3	0.0	1,192.3	1,285.7	0.0	1,285.7	1,170.4	0.0	1,170.4
სანებართვო მოსაკრებელი	14223	12.9		12.9	26.0		26.0	20.0		20.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0.8		0.8	1.6		1.6	0.4		0.4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	1,036.0		1,036.0	1,060.1		1,060.1	1,000.0		1,000.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	142.6		142.6	198.0		198.0	145.0		145.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299	0.0			0.0		0.0	5.0		5.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	53.1	0.0	53.1	33.5	0.0	33.5	25.0	0.0	25.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	53.1		53.1	33.5		33.5	25.0		25.0



ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	336.3		336.3	480.0		480.0	321.3		321.3
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	147.8		147.8	182.5		182.5	90.0		90.0

მუხლი 7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები **22,176.2** ათ. ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	12,465.4	563.7	11,901.7	18,086.5	1,450.9	16,635.6	22,176.2	2,854.6	19,321.6
შრომის ანაზღაურება	2,131.7	87.6	2,044.1	2,959.8	112.9	2,846.9	3,953.6	160.7	3,792.9
საქონელი და მომსახურება	1,735.8	335.9	1,399.9	2,742.5	588.0	2,154.5	3,208.8	897.3	2,311.5
პროცენტი	41.6	0.0	41.6	34.8	0.0	34.8	31.7	0.0	31.7
სუბსიდიები	6,909.3	87.1	6,822.2	8,736.9	94.5	8,642.4	10,569.9	117.0	10,452.9
გრანტები	14.0	0.0	14.0	541.9	0.0	541.9	75.7	0.0	75.7
სოციალური უზრუნველყოფა	1,333.4	0.5	1,332.9	1,722.7	0.8	1,721.9	1,563.1	7.4	1,555.7
სხვა ხარჯები	299.6	52.6	247.0	1,347.9	654.7	693.2	2,773.4	1,672.2	1,101.2



მუხლი 8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
 განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **12,928.3** ათ. ლარით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **13,047.3** ათ. ლარით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

ორგანზაც. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხაარჯები	381.9	252.9	689.2
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8,446.8	11,131.2	8,487.3
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	7.7	76.1	508.1
04 00	განათლება	218.0	1,443.7	1,461.6
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	775.6	966.0	1,885.1
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.8	69.2	16.0
	ჯამი	9,830.8	13,939.1	13,047.3

ბ) განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება **119.0** ათ. ლარით თანდართული რედაქციით.

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივების კლება	383.0	1,238.5	119.0
311	ძირითადი აქტივები	300.3	113.3	39.0
314	არაწარმოებული აქტივები	82.7	1,125.2	80.0
3141	მიწა	82.7	1,125.2	80.0

მუხლი 9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

(ათას ლარებში)

ფუნქც. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელ მწიფო ბიუჯეტის ფონდე ბიდან	საკუთარი შემოსავლე		სახელ მწიფო ბიუჯეტის ფონდე ბიდან	საკუთარი შემოსავლე		სახელ მწიფო ბიუჯეტის ფონდე ბიდან	საკუთარი შემოსავლე



			გამოყოფილი ტრანსფერები	ბი		გამოყოფილი ტრანსფერები	ბი		გამოყოფილი ტრანსფერები	ბი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3,100.9	0.0	3,100.9	3,982.7	0.0	3,982.7	5,787.8	76.5	5,711.3
7011	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,059.3	0.0	3,059.3	3,947.9	0.0	3,947.9	5,756.1	76.5	5,679.6
70111	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,059.3	0.0	3,059.3	3,947.9	0.0	3,947.9	5,606.1	76.5	5,529.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	150.0	0.0	150.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	41.6	0.0	41.6	34.8	0.0	34.8	31.7	0.0	31.7
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	117.9	93.0	24.9	151.0	114.1	36.9	247.0	246.2	0.8
7022	სამოქალაქო თავდაცვა	117.9	93.0	24.9	151.0	114.1	36.9	247.0	246.2	0.8
704	ეკონომიკური საქმიანობა	7,175.7	5,181.9	1,993.8	8,578.7	5,995.3	2,583.4	7,803.2	4,570.6	3,232.6
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	2.9	0.0	2.9	1.1	0.0	1.1	154.5	0.0	154.5
70421	სოფლის მეურნეობა	2.9	0.0	2.9	1.1	0.0	1.1	154.5	0.0	154.5
7045	ტრანსპორტი	7,171.5	5,181.9	1,989.6	8,570.8	5,995.3	2,575.5	7,641.7	4,570.6	3,071.1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7,171.5	5,181.9	1,989.6	8,570.8	5,995.3	2,575.5	7,641.7	4,570.6	3,071.1
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1.3	0.0	1.3	6.8	0.0	6.8	7.0	0.0	7.0
705	გარემოს დაცვა	1,547.0	0.0	1,547.0	2,222.1	0.0	2,222.1	3,192.2	0.0	3,192.2
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1,101.9	0.0	1,101.9	1,610.1	0.0	1,610.1	1,985.0	0.0	1,985.0



7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	445.1	0.0	445.1	612.0	0.0	612.0	1,207.2	0.0	1,207.2
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2,241.5	790.5	1,451.0	5,287.6	3,160.9	2,126.7	4,948.2	3,212.0	1,736.2
7061	ბინათმშენებლობა	158.9	0.0	158.9	1,021.9	654.7	367.2	2,409.9	1,672.2	737.7
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1.9	0.0	1.9	134.8	127.9	6.9	3.3	0.0	3.3
7063	წყალმომარაგება	155.5	97.2	58.3	71.9	0.0	71.9	75.5	0.0	75.5
7064	გარე განათება	589.2	0.0	589.2	779.0	0.0	779.0	700.0	0.0	700.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,336.0	693.3	642.7	3,280.0	2,378.3	901.7	1,759.5	1,539.8	219.7
707	ჯანმრთელობის დაცვა	127.1	87.1	40.0	127.5	94.5	33.0	172.4	129.0	43.4
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	127.1	87.1	40.0	127.5	94.5	33.0	172.4	129.0	43.4
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3,247.9	119.9	3,128.0	4,467.2	405.2	4,062.0	5,648.5	0.0	5,648.5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,718.7	119.9	1,598.8	2,587.6	405.2	2,182.4	3,672.9	0.0	3,672.9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,217.7	0.0	1,217.7	1,287.4	0.0	1,287.4	1,505.0	0.0	1,505.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	311.5	0.0	311.5	592.2	0.0	592.2	470.6	0.0	470.6
709	განათლება	3,093.2	364.1	2,729.1	4,982.3	1,668.4	3,313.9	5,258.2	759.9	4,498.3
7091	სკოლამდელი აღზრდა	2,477.4	0.0	2,477.4	3,000.4	0.0	3,000.4	3,500.0	0.0	3,500.0
7092	ზოგადი განათლება	407.1	364.1	43.0	1,731.0	1,668.4	62.6	1,477.2	759.9	717.3
70923	საშუალო ზოგადი განათლება	407.1	364.1	43.0	1,731.0	1,668.4	62.6	1,477.2	759.9	717.3
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	208.7	0.0	208.7	250.9	0.0	250.9	281.0	0.0	281.0
710	სოციალური დაცვა	1,645.0	0.5	1,644.5	2,226.5	0.8	2,225.7	2,166.0	0.3	2,165.7
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	266.7	0.0	266.7	479.6	0.0	479.6	534.0	0.0	534.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	228.9	0.0	228.9	263.8	0.0	263.8	320.0	0.0	320.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	1,137.2	0.0	1,137.2	1,471.1	0.0	1,471.1	1,294.5	0.0	1,294.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	12.2	0.5	11.7	12.0	0.8	11.2	17.5	0.3	17.2



	სულ	22,296.2	6,637.0	15,659.2	32,025.6	11,439.2	20,586.4	35,223.5	8,994.5	26,229.0

მუხლი 10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-5,727.7) ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საოპერაციო სალდო 7,200.6 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	10,063.9	14,850.5	7,200.6
მთლიანი სალდო	616.1	2,149.9	-5,727.7

მუხლი 11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-5,797.8) ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	546.0	2,079.8	-5,797.8
ზრდა	683.3	2,079.8	-
ვალუტა და დეპოზიტი	683.3	2,079.8	-
კლება	137.3	-	5,797.8
ვალუტა და დეპოზიტი	137.3	-	5,797.8

მუხლი 12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს (-70,1) ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2018 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამტრედიის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 210.4 ათას ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 140.2 ათასი ლარი.

თავი II
სამტრედიის მუნიციპალიტეტის
2023 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები.

მუხლი 13. 2023 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები
1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)



სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია. ასევე, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გარდა, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1. გზების, ხიდების, ბოგიერების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული გზების მოვლა-პატრონობა (ორმული შეკეთება); მრავალბინიანი კორპუსების ეზოების მოწყობა ასფალტ-ბეტონის საფარით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მოხრეშვა; სანიაღვრე არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია, ბოგიერებისა და ცხაურების მოწყობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, მაგრამ გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამუშაოების გაგრძელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი ითხოვს მიმდინარე (ორმული) შეკეთებას.

- ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. კორპუსების ეზოები საკმაოდ არის დაშორებული კეთილმოწყობილი ცენტრალური თუ მეორეხარისხოვანი გზიდან და იქ მცხოვრებ მოქალაქეებს ტრანსპორტით თუ ფეხით მოუწესრიგებელი ტერიტორიის (ეზოების) გავლით უწევთ გადაადგილება. საჭიროა მრავალბინიანი კორპუსების ეზოებიდან ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

- მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელად უწევთ ქვიშა-ხრემოვანი გზებით სარგებლობა, გზის საფარის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე თითქმის ყველა სოფლის შიდა გზების უმეტესობა ამ ეტაპზე საჭიროებს მოხრეშვითი სამუშაოების ჩატარებას.

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლების სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გასაწმენდია ზედმეტი ნატანისაგან დალექილი არხები, საჭიროა ნიაღვარმიმღები ობიექტების რეაბილიტაცია ქუჩებზე, რომლებზეც დაგეგმილია გზის კაპიტალური სამუშაოები, მოსაწყობია ახალი ბოგიერები და ცხაურები.

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგიერების მდგომარეობის შენარჩუნება.

1. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.2.1 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმშენებლობის ამახანაგობები ვერ ახორციელებენ საერთო სარგებლობის ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავი მთლიანად აზიანებს ქერს და მაღალ სართულებზე განთავსებულ ბინებს. აქედან გამომდინარე, ქ.სამტრედიაში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსები



ფასადების, სადარბაზოების, სარდაფების, სახურავებისა და შიდა კომუნიკაციების რეაბილიტაციას საჭიროებს.

1.2.2 წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 02)

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის იერსახის გასაუმჯობესებლად და მოსახლეობის კომფორტული გარემოს შესაქმნელად საჭიროა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებაში მყოფი სასმელი წყლის სოკოების, შადრევნების წყლის ხარჯების დაფინანსება, ასევე, განხორციელდება სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, მოწყობა-მომსახურება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (მაღალმთიან ზონაში) არსებული წყლის სისტემები მოითხოვს რეაბილიტაციას და ასევე უნდა მოეწყოს ახლი სისტემები. სასმელი წყლის რეზერვუარები გამოსულია მწყობრიდან, საჭიროებს აღდგენას

1.2.3 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 03)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის განათების მომსახურება და საახალწლო-საშობაო ღონისძიებებისათვის ქუჩების დეკორატიული განათებების შექმნა, ასევე არსებული განათებების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა.

1. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, რომელიც გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტის იერსახეს.

1. საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (პროგრამული კოდი 02 03 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების დამზადება, აგრეთვე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ან აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას.

1.3.2 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03 03)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების განახლება, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ტრენაჟორებისა და ატრაქციონების მოწყობა, რომელიც გააუმჯობესებს ქალაქის იერსახესა და შეუქმნის მოსახლეობას დასვენებისთვის კომფორტულ პირობებს. რეაბილიტირებული სკვერები და გაზონები, უზრუნველყოფს იერსახის გაუმჯობესებას და დასვენებისა და გართობისათვის შესაფერისი გარემოს შექმნას.

1.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებისთვის პრიორიტეტული სოციალ-ეკონომიკური პროექტები. აღნიშნულ სამუშაოებში ჩართული იქნება სოფლის მოსახლეობა. პროგრამით გათვალისწინებული თანხა წარმართება სოფლის პირველი რიგის სოციალ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად.

1. სოფლის მეურნეობის განვითარება პროექტები (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივ ფერმერთათვის აგროტურების მოწყობას, რომლის მიზანია, სოფლის მეურნეობის სფეროში საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და დაინტერესებულ პირთა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა.



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, სახნავი ფართობების შემოღობვა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიმდებარე არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

2.1 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების დაგვა-დასუფთავებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და მის გატანას, აგრეთვე, სანიაღვრე და საწრეტი არხების დანალექებისაგან გაწმენდა-გატანას, გარე განათების ქსელების მომსახურებას. ქვეპროგრამის მიზანია ეკოლოგიურად სუფთა, ესთეტიკურად ლამაზი ქალაქი, განათებული მუნიციპალიტეტი, ქალაქის გაწმენდილი არხები ბუნებრივი ნალექისგან.

2.1 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ძირითადი მიზანი არის ქალაქის იერსახის გაუმჯობესება არსებული სკვერების, პარკების კეთილმოწყობით, სანერგე მეურნეობის მოწყობა-ექსპლოატაციით, მწვანე ნარგავების მოვლით. აგრეთვე, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება პარკების სანიტარული დაცვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, პანთეონების და სასაფლაოების ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება.

2.2 დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის აღწერა და მიზანი: დასუფთავების ღონისძიებები - სამტრედიის მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადებების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

პროგრამის აღწერა და მიზანი: მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე, პროგრამაში შემავალი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის უმთავრესი მიზანია ახალი თაობის აღზრდა თანამედროვე მეთოდებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სკოლის გარეშე დამატებითი განათლების უზრუნველყოფა.

3.1 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება", რომელიც აერთიანებს 24 საბავშვო და ბაგა-ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1300 ბავშვი. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მ.შ. მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვების ხარჯს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე, განხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია.სკოლამდელი გაერთიანება



მოწოდებულია და მიზნად ისახავს მოამზადოს ბავშვი ფიზიკურად, ჩამოაყალიბოს მორალურად და ინტელექტუალურად. ბავშვის გაერთიანება აქტიურად მუშაობს თემატური პროექტების, სხვადასხვა სახეიმო ღონისძიებების ჩატარების ხარისხზე, ამასთან, ხელს უწყობს შშმ ბავშვთა ჩართულობას სასაწავლო პროცესში. სკოლამდელი აღზრდა ითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეული უნარების განვითარებას, არამედ ბავშვის პიროვნული განვითარების ხელშეწყობასაც.

3.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში, ემსახურება მომავალი თაობების ინტელექტუალურ, ესთეტიკურ-ზნეობრივ აღზრდას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი უზრუნველყოფს ახალგაზრდების თვითრეალიზაციისთვის საჭირო გარემოს შექმნას. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის შესაბამისად, ახალგაზრდული საქმიანობა ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურეობრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობას და ინტეგრაციას. ელექტრონული სერვისების დაწესება- განვითარება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ინფრომირებას სხვადასხვა პროექტების შესახებ, რაც გაზრდის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა რაოდენობას. სკოლისგარეშე არაფორმალური დამატებითი განათლება გახდება ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისთვის (ნებისმიერი ახალგაზრდისთვის 6-დან 18 წლამდე).

3.3 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბავშვები და ბავშვბავშვები) მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს საბავშვო ბავშვის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას და სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის აღწერა: სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების



ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით;

- ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვანების წახალისება ფულადი ჯილდოთი;
- ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;
- სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;
- პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.

მიზანი: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.

4.1.2 სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება წლიური საწრთვნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისთვის მომზადება, მათთვის სოციალური პირობების შექმნა. 2023 წლის განვალობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- ა(ა)იპ საცხენოსნო სპორტული კლუბი;
- ა(ა)იპკომპლექსური სპორტული სკოლა;
- ა(ა)იპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო";
- ა(ა)იპ ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია";
- შპს სპორტული კომპლექსი "სამტრედია";
- ა(ა)იპ რაგბის კლუბი „ფენიქსი“;
- ა(ა)იპ საჭიდაო კლუბი " ფალავანი".

4.1.2.1 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საცხენოსნო სპორტული კლუბი" (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: საცხენოსნო სპორტული კლუბი მუნიციპალიტეტში ინარჩუნებს ცხენოსნობის უძველეს ეროვნულ სახეობებს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს ორთოპედიული დაავადებების მქონე პირებს. გარდა ამისა, ქმნის საჭირო პირობებს ახალგაზრდა ცხენოსანი სპორტსმენების განვითარებისთვის, რათა სამტრედიის საცხენოსნო სპორტული კლუბი კვლავ მრავალჯერ იყოს საქართველოს ჩემპიონი. იგი ერთადერთი საცხენოსნო კლუბია იმერეთის რეგიონში.

4.1.2.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "კომპლექსური სპორტული სკოლა" (პროგრამული კოდი 05 01 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სკოლის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის ხელშეწყობა და განვითარება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა და მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ტრადიციების შენარჩუნება-გამლიერება. ახალგაზრდების მაქსიმალურად ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობათა ჯგუფებში. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან



გამომდინარე პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბიუჯეტიდან სპორტის სუბსიდირების თვალსაზრისით დაფინანსება, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა გამოავლინონ მათი სპორტული შესაძლებლობები.

4.1.2.3 ა(ა)იპ "საფრენბურთო კლუბი ჯიკო" (პროგრამული კოდი 05 01 02 03)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: "საფრენბურთო კლუბი ჯიკო"-ს მიზანია მუნიციპალიტეტის ფარგლებში ქალთა გუნდური სახეობების და საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდა, მოზარდ თაობებში მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია. ინტენსიური მზადება ფრენბურთელ ქალთა გუნდ „ჯიკო“-ს სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის. კლუბის მთავარი ამოცანა კონკურენტუნარიანი სპორტსმენების მიწოდებაა როგორც საქართველოს ეროვნული, ასევე ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისთვის.

4.1.2.4 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "ხელბურთელთა კლუბი სამტრედია" (პროგრამული კოდი 05 01 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელბურთის განვითარების ხელშეწყობა, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართლებით განვითარება და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა ვაჟებსა და გოგონათა შორის. საქართველოს მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ფარგლებში საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდა, მოზარდ თაობებში მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.

4.1.2.5 შპს"სპორტული კომპლექსი სამტრედია" (პროგრამული კოდი 05 01 02 05)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სპორტი ერთერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობასა და მათი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“ არის სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის, ცენტრალური საფეხბურთო მოედნის, სპორტული დარბაზის, საცურაო აუზის, მინი საფეხბურთო მოედნების და მისი მიმდებარე ტერიტორიების დროებით მოსარგებლე. მისთვის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ამ ტერიტორიის მოვლა შენახვა და მოსწავლეთათვის, შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს სპორტსმენტათვის, ქალაქისა და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს ძირითად საქმიანობაში შედის საცურაო აუზით, საფეხბურთო მინი მოედნებით, ცენტრალური საფეხბურთო მოედნითა და სპორტული დარბაზით მომსახურება. მისი მიზანია მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნა მოზარდი თაობების ჯანსაღი ცხოვრების წესით აღზრდაში. ცენტრალური საფეხბურთო მოედანი სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების თანახმად უფასოდ ემსახურება საფეხბურთო სპორტულ კლუბ სამტრედიას და სპორტული სკოლის აღსაზრდელებს. ეხმარება და უზრუნველყოფს მათ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით და მათი ვარჯიშისა და მატჩებისთვის საუკეთესო პირობებით.

